ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3895354

ნომერი: AR1583591

თარიღი : 13.03.2018

გაცემის თარიღი : 04.04.2018

გაცნობის თარიღი : 04.04.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მეაბრეშუმეობის ს/კ ინსტიტუტი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ფარცხალაძე პ/ნ 01030005382
- ოთარ ლორთქიფანიძის 20

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 21 თებერვლის №3834003 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 13 მარტის №AR1583591 განაცხადით მომართ ნინო ფარცხალაძემ, თანაგამცხადებელ ლია რუსიტაშვილთან ერთად და მოითხოვა ამავე სამსახურის 2018 წლის 21 თებერვლის №3834003 ბრძანებაში დამკვეთის ინფორმაციის ცვლილება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ამავე სამსახურის 2018 წლის 21 თებერვლის №3834003 ბრძანებით №01.72.14.013.041 საკადასტრო ერთეულზე შეთანხმდა ოფისის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 21 თებერვლიდან 2020 წლის 21 თებერვლის ჩათვლით. დამკვეთად დაფიქსირდა მიწის ნაკვეთის იმდროინდელი მესაკუთრე, ლია რუსიტაშვილი.
საჯარო რეესტრის მონაცემებზე დაყრდნობით, №01.72.14.013.041 საკადასტრო ერთეულის ამჟამინდელ მესაკუთრეს (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან: განცხადების რეგისტრაცია: №892018169534, მომზადების თარიღი: 05/03/2018) წარმოადგენს შპს „ალბი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 404471424). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის თანახმად, შპს „ალბის“ ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია თანაგანმხცადებელი, ლია რუსიტაშვილი.
„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-20 მუხლის თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან განსათავსებელი შენობა-ნაგებობის მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ სამსახურის 2018 წლის 21 თებერვლის №3834003 ბრძანებაში ცვლილების შეტანის მოთხოვნით მომართავს საპროექტო მიწის ნაკვეთის მესაკუთრე, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს ცვლილება მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,
ვბრძანებ:
1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 21 თებერვლის №3834003 ბრძანებაში და დამკვეთად დაფიქსირდეს შპს „ალბი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 404471424). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 21 თებერვლის №3834003 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 21 თებერვლის №3834003 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.